


DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10038>

ქართული ლიტერატურის გზამკვლევი (Handbook of Georgian Literature)

რედაქტორი: ირმა რატიანი
Brill, 2025




წიგნში მიმოხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპები – ადრეული შუა საუკუნეებიდან თანამედროვე ლიტერატურულ პროცესამდე – და ხაზგასმულია მისი მჭიდრო ურთიერთკავშირი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან. ნაშრომი შეიცავს ცალკეული ეპოქების, ავტორებისა და ტექსტების შესახებ დეტალურ ანალიზს, რაც ახალ ინტერპრეტაციულ სივრცეს ქმნის ქართული ლიტერატურის ინტელექტუალური მემკვიდრეობის გააზრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალ-ავტორთა წვლილი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბებაში არსებითია, მათი როლი დიდი ხნის განმავლობაში სათანადოდ არ იყო შეფასებული. მოცემული წიგნი ასწორებს ამ ხარვეზს და წარმოაჩენს ქართველ ქალ-ავტორთა შემოქმედებას ეროვნული კულტურის საერთო კონტექსტში.

ირმა რატიანი

დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით

რედაქტორები: გაგა ლომიძე, მაკა ელბაქიძე

თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2025



წიგნი მიზნად არ ისახავს დრამის, როგორც ლიტერატურული გვარის პოეტიკის სრულყოფილ და ყოველმხრივ ანალიზს, არამედ დრამატურგიისა და დრამის თეორიის განვითარების მხოლოდ იმ ეტაპების გამოკვეთას, რომლებმაც გარკვეული კვალი ქართულ ლიტერატურასა და დრამატურგიას დაამჩნია და, შედეგად, შეიქმნა ტექსტები, რომელთა წაკითხვაც შესაძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული თეორიული მეთოდოლოგიების ჭრილში. ქართული მასალის თვალსაზრისით, წიგნი დაფარავს კვლევას 1860-იანი წლებიდან 1960-იან წლებამდე. წიგნი განსაზღვრულია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ფილოლოგიური და ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებისთვის, მისი ფართო სამიზნე აუდიტორიაა ლიტერატურისა და დრამატურგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი.


თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი

ქართული დრამატურგიის ქრესტომათია

(ნაცნობი და უცნობი ტექსტები), ტ. III

რედაქტორი: ირმა რატიანი

თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2025



„ქართული დრამატურგიის ქრესტომათიის“ მესამე ტომში შესულია კონდრატე კლდიაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სამსონ აბაშიძის, დავით ერისთავისა და პეტრე უმიკაშვილის პიესები. აქედან

ილიასა და აკაკის დრამატურგიული შემოქმედება ცნობილია ფართო მკითხველისათვის (ის მცირეოდენი შესწორებებით შევიდა ქრესტომათიაში), ხოლო დანარჩენ მოღვაწეთა პიესები უმეტესად უცნობი გახლავთ და ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგადაა მოპოვებული; დადგენილია მათი ავტორების ვინაობაც (კონდრატე კლდიაშვილის ბიოგრაფია და სამსონ აბაშიძის პიესა „ლოტოს“ ავტორობის საკითხი). ზოგიერთი მასალა მიკვლეულია საარქივო ფონდებსა (მათ შორის „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“) და თბილისისა და რეგიონების ბიბლიოთეკთა საცავებში. ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ეტაპობრივად წარმოდგენილია იმ ქართველ მწერალთა დრამატული თხზულებები, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს ქართული დრამატურგიის განვითარებაში.

თამარ შარაბიძე

XIX საუკუნის ქართული

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება

რედაქტორი: როსტომ ჩხეიძე

თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2025



წიგნში წარმოდგენილია XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი, განხილული ეპოქის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენების შუქზე. ავტორის მიერ ხელახლა არის შეფასებული ქართველ მწერალთა და პუბლიცისტთა სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული შეხედულებანი გარკვეული დროის გადასახედიდან. თუ შევადარებთ წარმოდგენილ მონოგრაფიას ლიტერატურის ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებს, დავინახავთ, რომ მასში ნაკლებად არის მოცემული ნაწარმოებთა ამომწურავი მხატვრული ანალიზი, რადგან აქ აქცენტირებულია მწერლის საზოგადოებრივი მოვლენებისადმი დამოკიდებულება და ამ მოვლენათა მხატვრული აღქმა; მოღვაწეთა პოლემიკისა და დაპირისპირების დინამიკაში წარმოდგენილია მათი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ნააზრევის შეფასებაც.

მერაბ ღაღანიძე

ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე:
ლიტერატურული პორტრეტები მეთვრამეტე-
მეცხრამეტე საუკუნეთა პოლიტიკური,
რელიგიური და კულტურული ცხოვრების
აღბომიდან

შევსებულ-განახლებული გამოცემა
თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა
და კულტურის ცენტრი, 2025




წიგნის მიზანია, ესკიზურად შესრულებული ცალკეული ლიტერატურული პორტრეტებით წარმოაჩინოს, როგორ მთავრდებოდა ძველი საქართველო, როცა რუსეთი ჯერ კიდევ კავკასიონს გადაღმა იდგა და როგორ იწყებოდა ახალი საქართველო, როცა რუსეთის ჯარის დაუნდობლობა ყველა ქართულ კუთხეს უკვე საკუთარ თავზე გამოეცადა. წიგნის ჩანაფიქრია, ახლოს იქნეს დანახული ქართველი მეფეები და ბატონიშვილები, სამღვდელონი და საერონი, მწიგნობარნი და პოეტები, ამბოხებულნი და დამორჩილებულნი, ისინი, რომელთა თვალსაწიერი, – ნებისთ თუ უნებლიეთ, საქართველოს დაპყრობამდე თუ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, – თითქმის სრულად მოეცვა ჩრდილოეთის ციალს.

წიგნის წინა გამოცემისაგან (2010) განსხვავებით, ამჟამინდელ შევსებულ-განახლებულ გამოცემაში დამატებულია რამდენიმე პორტრეტი და ამჟამად მათი რაოდენობა ოცდახუთია (მათ შორის, ზოგი ორმაგ პორტრეტს წარმოადგენს).

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პორტრეტები დიდწილად გადამუშავდა და მეტ-ნაკლებად შეივსო, სხვა მხრივ, წიგნის ჩანაფიქრი, მიზანსწრაფვა, შინაარსი თუ საერთო აღნაგობა უცვლელი დარჩა.

ირმა ყარაულაშვილი

შუშანიკის წამება: ჰაგიოგრაფიული ტექსტი,
ნარატიული ტრადიცია და წმინდანის იდენტობა.
თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
2025




მონოგრაფია ორი ნაწილისგან შედგება: 1. „რამდენიმე დაკვირვება შუშანიკის წამების ტექსტზე“, რომელში განხილული მასალაც, ძირითადად, ტექსტუალურ ნიუანსებს შეეხება და ნარატივის ცალკეული ფრაზების ანალიზს გვთავაზობს, ასევე განხილულია ტექსტში მოტანილი ბიბლიური ციტაციების სავარაუდო პარალელებისა და წარმომავლობის საკითხი. 2. „ქართული და სომხური ნარატიული ტრადიცია შუშანიკის შესახებ და წმინდანის იდენტობის საკითხი.“ წარმოდგენილია ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიულ ნარატივებში შემონახული ინფორმაცია და მისი ანალიზი. გამოტანილია დასკვნა, რომ „შუშანიკის მარტვილობასთან“ დაკავშირებული ნარატიული ტრადიცია ნათლად განასახიერებს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული გადმოცემა კონკრეტულ დროსა და პირობებში დაექვემდებაროს კონტექსტუალიზაციას, გახდეს მიკერძოებული, და წარმოგვიდგეს, როგორც ცალმხრივი ინტერესებით განპირობებული მანიპულაციისა და აღრევის საგანი. სწორედ ამგვარი რამ ხვდა წილად შუშანიკის ამბავს ორი მეზობელი ქრისტიანული ერის ისტორიული მეხსიერების ფორმირებათა თუ ცვლილებათა პროცესში.

სჯანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი
ლიტერატურის თეორიასა და შედარებით
ლიტერატურათმცოდნეობაში, 26.

რედაქტორი: ირმა რატიანი

თბილისი: თსუ გამომცემლოა, 2025




ჟურნალ „სჯანის“ 26-ე ნომერი, რომელიც ფრანგი კრიტიკოსისა და ლიტერატურის თეორეტიკოსის ჟერარ ჟენეტის დაბადებიდან 95 წლისთავს ეძღვნება, ტრადიციულად ეთმობა თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის მიმართულებით. ჟურნალში მასალა დალაგებულია შემდეგი რუბრიკების მიხედვით: *ლიტერატურის თეორიის პრობლემები, პოეტიკური პრაქტიკები, კრიტიკული დისკურსი, ინტერპრეტაცია, კულტურის პარადიგმები, ფოლკლორისტიკა – თანამედროვე კვლევები, ახალი წიგნები*. რუბრიკაში *გამოხმაურება, რეცენზია* წარმოდგენილია რეცენზია ირმა რატიანის წიგნზე *დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით* (რეცენზენტი გაგა ლომიძე) და კონსტანტინე ბრეგაძის წიგნზე *გოეთეს „ფაუსტი“: სიმბოლიკა და პოეტიკა* (რეცენზენტი დავით მაზიაშვილი).

ლექსმცოდნეობა XVI

რედაქტორი: თამარ ბარბაქაძე

თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის

გამომცემლობა, 2024



ყოველწლიური კრებული, რომელიც ლექსმცოდნეობის სამეცნიერო სესიის მასალებს აერთიანებს, ამჯერად შოთა ჩანტლაძეს (1928–1968) ეძღვნება. მის შემოქმედებას მიმოიხილავენ ლიტერატურათმცოდნეები: გ. არგანაშვილი, მ. კვირკველია, ე. მაჭარაშვილი, მ. ხარბედი, ნ. კუპრეიშვილი. ერთი ლექსის პოეტიკის კვლევის ტრადიციას

აგრძელებენ ნ. დარბაისელი, გ. კუჭუხიძე, ნ. სანებლიძე, თ. წოწორია, თ. გოგნიაშვილი და სხვები. შოთა ჩანტლაძეს – გამორჩეული ხელწერის მქონე პოეტს – უძღვნიან ლექსებსა და წერილებს: ტ. ჭანტურია, თ. ბექიშვილი, ე. კვიტაიშვილი, ვ. რცხილაძე, ლ. ავალიანი, თ. ბარბაქაძე, დ. ბედიანიძე, ა. ბუაჩიძე, ნ. გოგიაშვილი, ნ. ვახანია, მ. მთვარელიძე, ზ. ცხადაია, ლ. სორდია, ბ. წიფურია, მ. ჯალიაშვილი, მ. ჯიქია. კომპარატივისტიკის მიმართულებით საინტერესო პარალებები დამებნეს მკვლევრებმა რ. თურნავამ და ჟ. სირაძემ. დაკვირვებებს პოეტის მთარგმნელობით ტექნიკაზე მკითხველი გაეცნობა ი. ონაშვილის წერილში: „შოთა ჩანტლაძე – ა.ს. პუშკინის ლექსების მთარგმნელი“. კრებული ტრადიციულად უთმობს ადგილს დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ნაშრომებსაც. შოთა ჩანტლაძის პოეზიის ასპექტებზე, მისი ლექსის თავისებურებებზე მსჯელობენ: ნ. ბალავაძე, ლ. ბარბაქაძე, ნ. ბიჩინაშვილი, მ. გვირგვინი, მ. გიორგაშვილი, თ. კანდელაკი, ს. ლომოური, ქ. სამადაშვილი, ნ. სერვასტიანცი, ლ. ღონღაძე.

ცნობილი ქართველი ლექსმცოდნის, პროფესორ აკაკი ხინთიბიძის 100 წლის იუბილეს – ეხმაურებიან მისი მოწაფეები და უმცროსი თანამედროვენი – თ. ბარბაქაძე, ნ. დარბაისელი, ქ. ენუქიძე, გ. ლობჯანიძე, თ. წოწორია, მ. ჯიქია.